

# ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მოგესალმებით პატივცემულო საკრებულოს წევრებო, ბატონებო და ქალბატონებო!

წარმოგიდგენთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიშს 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

პირველ რიგში მინდა ავლიწნო, რომ დღევანდელი საკრებულო თავისი შემადგენლობით არის მრავალპარტიული, განსხვავებული პოლიტიკური მიმდევრობისა და აზროვნების კუთხით. მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური თუ პიროვნული დამოკიდებულებებისა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობამ მოახდინა სრული კონსოლიდაცია საერთო საქმის კეთებისათვის. ყველა ჩვენთაგანმა გავითავისეთ, რომ ჩვენი უპირველესი მოვალეობა და ვალდებულება ზუგდიდის მოსახლეობის სამსახურში ყოფნა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაა.

სანამ გადავალ საკრებულოს მიერ კანონმდებლობითა და რეგლამენტის მიხედვით განხორციელებული საკითხების ჩამოთვლაზე, მანამ მინდა როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელმა ყურადღება გავამახვილო იმ პოლიტიკურ სიტუაციაზე, რომელიც გვერგო მემკვიდრეობით და რომლის ძირეული ცვლილებაც მოვახდინეთ ჩვენი მოსვლის შემდეგ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი მმართველობა არ დაგვიწყია ერთპარტიული პრინციპით და არ ვცდილობთ საჯარო სექტორს ჩამოვაშოროთ განსხვავებული აზრის მატარებელი მოხელეები, რომლებიც განსხვავებით ძველი დროებისაგან დღეს დიად აფიქსირებენ თავის პოლიტიკურ სიმპათიებს და არა აქვთ იმის შიში, რომ მათი დევნა მოხდება პოლიტიკური ნიშნით.

ჩვენ, ვფიქრობთ ყველაზე მეტად ვაქტიურობთ ადამიანის უპირობო უფლების, აზრის თავისუფლების დაცვის საკითხში და მეამაყება, რომ ამის თქმის საშუალებას მაძლევს ჩვენი გუნდის საქმიანობა. ჩვენი მთავარი ამოცანაა პროფესიონალიზმზე, საქმის მცოდნე სპეციალისტების მოტივაციის გაზრდაზე ზრუნვა და არა პარტიული ნიშნით თანამდებობების განაწილება, რისი თქმის საფუძველსაც მაძლევს გამგეობასა თუ საკრებულოში საჯაროდ და სამართლიანად ჩატარებული კონკურსის შედეგები.

მინდა ხმამაღლა განვაცხადო, რომ არცერთი საკრებულოს წევრი არ გაქცევია დაკისრებულ მოვალეობას და ყველა მათგანი აქტიურად, ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში ჩართულია მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებაში.

ჩვენმა საკრებულომ უარი თქვა ჩასაფრებულის პოზიციიდან ეყურებინა აღმასრულებელი ორგანოსათვის და მათთან ერთად ყოველდღიურად რიგითი სპეციალისტის ფუნქციით თვალყურს ადევნებდა და აქტიურად მონაწილეობდა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ თუ მიმდინარე პროექტებში. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები და აპარატის უფროსი აქტიურად იყვნენ ჩართულნი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ შექმნილ კომისიებში როგორცაა: სოციალური საცხოვრისების, ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების თუ ნიჭიერ ბავშვთა გამოვლენის კომისიებში და თავისი მნიშვნელობანი წვლილი შეიტანეს ამ კომისიების მუშაობაში;

ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, ფრაქცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ინიციატივით მოხდა საკრებულოს საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა. კერძოდ: უარი ითქვა ისეთ ფუფუნებებზე, როგორცაა: ავტომობილების შესყიდვა, ოფისის რემონტი. წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 2016 წელს დაგეგმილი 4000 ლარიდან გახარჯულ იქნა მხოლოდ 987 ლარი, ამ ინიციატივით დავიწყეთ იმ წინასაარჩევნო დაპირების ასრულება, რაც საბიუჯეტო სახსრების დაზოგვით იმ მოსახლეობის სოციალურ დახმარებას გულისხმობს, რომელიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს. საკრებულოს არაფინანსურ აქტივების ზრდის ხარჯის მუხლში ოფისის რემონტისთვის დაგეგმილი თანხა 100 ათასი ლარი სრულად მიმართულ იქნა მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აშენებისთვის;

არ მინდა ჩემს ანგარიშში ვილაპარაკო მშრალ ციფრებზე, რომლებიც თითოეულმა თქვენგანმა ისედაც იცით, უბრალოდ მინდა ჩემი შეხედულება გამოვხატო, როგორც ქვეყნის მმართველი ძალის წარმომადგენელმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში და დავიწყო მადლობის გადახდით ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს საკრებულოში და დღემდე ერთგულია იმ პრინციპების, რა პრინციპითაც მოვედით ხელისუფლებაში.

მადლობა მინდა გადავუხადო აგრეთვე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს იმ კონსტრუქციული ოპონირებისთვის, რომლის წყალობითაც ვცდილობთ ფხიზლად ვიყოთ და მაქსიმუმი გავაკეთოთ, რათა გასაკრიტიკებელი რაც შეიძლება ნაკლები დარჩეთ. მინდა მჯეროდეს, რომ ზუგდიდისა და მისი მაცხოვრებლების კეთილდღეობის მოსურნე ოპოზიცია არ შეეცდება არასდროს პროვოკაციულად მოექცეს მმართველ გუნდსა და ჩვენს მოსახლეობას. არ მინდა ისე გამომივიდეს, რომ ყველაფერი კარგადაა და ზუგდიდში და პრობლემები არ გვაქვს, მაგრამ ვერსად გავექცევით იმ რეალობას, რომ ჩვენი მმართველობის პირობებში ყველა ღონე და შესაძლებლობა მიმართულია იმ დუბჭირი ცხოვრების შესამსუბუქებლად, რომელიც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში უპრეცედენტოდ დიდი მასშტაბის პროექტები განხორციელდა ჩვენს სინამდვილეში, როგორცაა გზების მოასფალტება და რკინა-ბეტონის საფარით მოწყობა, სოფლების სასმელი წყლით უზრუნველყოფა, ბაგა-ბაღებისა მშენებლობისა და სკოლების კეთილმოწყობა. აღარაფერს ვამბობ მცირე და

საშუალო დონის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. 2016 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელების ეტაპზეა 307 პროექტი;(დანართი თან ერთვის 16 გვერდზე), ხოლო რეგიონალურად დაახლოები 30-მდე პროექტი მათ შორისაა სოციალური საცხოვრისების მშენებლობა, რომელიც 2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ საუკეთესო პროექტად დასახელდა; გამოვყოფდი ცენტრალური ხელისუფლების მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და განსახორციელებელ რამოდენიმე დიდი პროექტს როგორცაა: რუხში საუნივერსიტეტო კლინიკისა და თანაინვესტირების ფორნდის მიერ „რუხი მოლის“ მშენებლობა, განმუხურში ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერით სასტუმროსა და ბოტანიკური ბაღის მშენებლობა, ანაკლიაში საუკუნის პროექტად წოდებული პორტის მშენებლობა. დაგეგმილია სხვა კიდევ უფრო დიდი მასშტაბის პროექტები, რომლებზეც წინასწარ არ მინდა ვისაუბრო.

მინდა მაგლობა გადავუხადო ზუგდიდის მოსახლეობას იმ ნდობისათვის, რომელიც გამოგვიცხადა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს. გვანდო მუნიციპალიტეტის მომავალზე ზრუნვა და კიდევ ერთხელ დავპირდე მათ, რომ როგორც დღემდე ვაქტიურობთ და ცვდილობთ ყველა სიკეთე მივიდეს თითოეულ მოსახლემდე, ისევე გავაგრძელებთ და გავააქტიურებთ მუშაობას ხალხის უკეთესი მომავლისათვის.

ძალიან მინდა ჩემი ანგარიში არ დაემსგავსოს პოლიტიკურ ანგარიშს კონკრეტული მიმართულებით და იყოს მთლიანად საკრებულოს ანგარიში საზოგადოების მიმართ, ამიტომ გვერდს ავუვლი ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების საქმიანობის მიმოხილვას და მხოლოდ მაგლობას მოვახსენებ კიდევ ერთხელ კონსტრუქციული ოპონირებისათვის. ჩვენი უმრავლესობა მზადაა ყურადღებით მოისმინოს და გაეცნოს ოპოზიციის მიერ წარმოდგენილ პროექტებს, რომლებიც მოსახლეობის საკეთილდღეოდ იქნება მომართული.

აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაუღალავი შრომა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების კუთხით, რომლის ციფრობრივი მაჩვენებლები მუნიციპალიტეტის გამგებელი წარმოადგინს თავის ანგარიშში. მაგლობა მათ გაწეული საქმიანობისათვის და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ უფრო მეტი აქტიურობისაკენ, რადგან პრობლემა ბევრია და საკეთებელიც.

2016 წლის საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად დაიხვეწა საკრებულოსა და საზოგადოების ურთიერთობის პრინციპები. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკრებულოს საქმიანობაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად საკრებულოს მიერ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული კანონმდებლობის შესაბამისად. გაუმჯობესდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სისტემა, ფუნქციონირება დაიწყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა, რომელ საიტზეც სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესახებ.

2016 წლის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს 18 სხდომა აქედან 9 მორიგი და 9 რიგგარეშე. სულ განხილული იქნა 72 საკითხი. ასევე 2016 წლის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს ბიუროს 53 სხდომა, რომელზეც სხვადასხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა საკრებულოს სხდომებზე გასატანი საკითხები. საკრებულომ სხვადასხვა კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღო 48 განკარგულება და 24 დადგენილება. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულების მიმდინარეობას და კონტროლს. საკრებულოს სხდომების გამართვის შესახებ ინფორმაცია დროულად ქვეყნდება და ყველა მსურველს აქვს საშუალება დაესწროს სხდომების მიმდინარეობას.

საკრებულოს აპარატი საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფდა საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების და საკრებულოს თანამდებობის პირების ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნას და დახმარებას უწევდა საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში. მოსახლეობას სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციულად უზრუნველყოფდა მოქალაქეთა ურთიერთობას საკრებულოსთან და საკრებულოს თანამდებობის პირებთან.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და დაიხვეწა დოკუმენტებზე მუშაობის, ნორმატიული აქტების მომზადება – გამოცემისა და საჯარო ინფორმაციების გაცემის პრაქტიკა, და აქვე მინდა მოგახსენოთ რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ საქართველოს 55 მუნიციპალიტეტს შორისაა, რომელიც დაჯილდოვდა 2016 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

მოწესრიგდა ცალკეული სამართლებრივი აქტების პროექტების გამგეობიდან საკრებულოში შემოტანის პრაქტიკა, დაიხვეწა საკრებულოს მიერ გამოცემული აქტების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის მექანიზმი.

2016 წელს მომზადდა და გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის 230 სამართლებრივი აქტი- ბრძანება.

გაუმჯობესდა შემოსულ კორესპოდენციებზე რეაგირებისა და გასულ კორესპოდენციებზე პასუხისმგებლობის მექანიზმი. განისაზღვრა პასუხისმგებელ პირთა უფლება-მოვალეობანი, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა შემოსულ კორესპოდენციებზე კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დროული რეაგირების საქმიანობა და გასული კორესპოდენციების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

2016 წელს საკრებულოში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებიდან განსახილველად შემოსულია – 72 და სხვა უწყებებიდან – 1, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობიდან – 87 წერილი და კორესპოდენცია

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა.ა.ი.პ.-ებიდან-11, რომლებზეც შესაბამისი რეაგირების მიზნით მომზადდა და გაიგზავნა შესაბამისი პასუხები.

განხილული, შესწავლილი და რეაგირებულია მოქალაქეთა 400 განცხადება, პეტიცია-4, პარლამენტარის - 1 მომართვა. რაიონული და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან - 27 სარჩელი. ყველა განცხადებაზე და მომართვაზე დროულად გაცემულია პასუხი და ჩამოწერილია. შესწავლილი და პასუხი გაცემულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან და გადმოგზავნილი ყველა წერილი.

ყოველდღიურად ხდება მოქალაქეთა მიღება. წლის განმავლობაში საკრებულოში სულ მიღებულია 112 მოქალაქე, სისტემატურად ტარდებოდა მოქალაქეთა ღია მიღებები. ანალიზი უკეთდებოდა მოქალაქეთა მიღების დროს დასმულ საკითხებს.

მოქალაქეთა მიერ დასმული რიგი საკითხები გათვალისწინებული იქნა პრიორიტეტების შერჩევის და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხილვის დროს.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საკრებულოს საქმიანობის საჯაროობის, მოქალაქეთა ინფორმირებულობის მიმართულებით. საკრებულოს საქმიანობა მაქსიმალურად შუქდებოდა საკრებულოს ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რეგლამენტით გათვალისწინებულია საკრებულოს 5 კომისია. საკრებულოს კომისიების მიერ სისტემატურად ხდებოდა გამგეობის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება. შესაბამისად მათ მიერ ხდებოდა საკრებულოს მიერ განსახილველი საკითხების ინიცირება საკრებულოში.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია სისტემატურად ისმენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს თვეებისა და კვარტლების მიხედვით ნაზარდი ჯამით, ასევე ბიუჯეტში ადგილობრივი შესყიდვების ცვლილებების შეტანას და სხვა მიმდინარე საკითხებს. ყველა ჩვენთაგანისთვის ნაცნობია და მეტად მტკივნეული, მუნიციპალიტეტში არსებული ტყის საფარის საგანგაშო მდგომარეობა. ამ მიმართებით ჩაატარა სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მართვის საკითხთა კომისიის სხდომა, რომელმაც მაღალ დონეზე ასწია ეს საკითხი, მოისმინა შ.პ.ს „სატყეო მეურნეობის“ ანგარიში, დაისახა სერიოზული ზომები და ღონისძიებები. იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი ყველას ერთობლივი მუშაობით რადიკალურად შეიცვლება უკეთესობისაკენ დღეს არსებული მდგომარეობა.

ბატონებო წარმოგიდგინებ რა გაწეული მუშაობის წლიური ანგარიშს, სულაც არ ვცდილობ იდეალურად დავხატო სურათი. ჩვენს მუშაობაში არის სერიოზული ხარვეზები. პირველი რაზეც მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება, ეს არის ფრაქციების არასათანადო მუშაობა. ჩემი აზრით, ფრაქციები ნაკლებად იხილავენ მუნიციპალიტეტში ჩვენი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, არ

მუშავდება წინადადებები, არ შემოდის ბიუროზე განსახილველად დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტები.

2016 წლის განმავლობაში საკრებულოს სხდომებზე მოსმენილი იქნა, თითქმის ყველა კომისიის ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობის შესახებ. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ყველა კომისიის მიერ ტარდებოდა კომისიის სხდომები. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ კომისიების მიერ გაწეული საქმიანობა და ჩატარებული სხდომები არ არის საკმარისი და აუცილებელია 2016 წლის განმავლობაში კომისიის სხდომები ტარდებოდეს საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესითა და ვადებით.

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს ყველა წევრი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში, აქტიურად ხვდებიან მოსახლეობას, ისმენენ მათ პრობლემებს და ცდილობენ შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინონ შესაბამისი დახმარება, მიმაჩნია, რომ კიდევ უფრო სისტემატიური ხასიათი უნდა მიეცეს საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან ურთიერთობასა და შეხვედრებს. ასევე აუცილებელია მაჟორიტარი დეპუტატების მეტი აქტიურობა მოსახლეობასთან შეხვედრებისა და ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის ორგანიზების საქმიანობაში.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულების საფუძველზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შექმნილი იყო მიწის საკუთრების უფლების აღიარების კომისია, აღნიშნული კომისია `ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად განიხილავს თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ განცხადებებს. 2016 წლის განმავლობაში კომისიის მიერ გაცემულია 700-მდე საკუთრების უფლების აღიარების მოწმობა. აღნიშნული კომისია ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის აგვისტოდან ფუნქციონირებს აღმასრულებელ ორგანოსთან;

საკრებულო თავის სხდომებზე სისტემატურად ისმენდა და აფასებდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიების, გამგეობისა და მისი სამსახურების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ანგარიშებსა და ინფორმაციებს გაწეული მუშაობისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ. ისმენდა აგრეთვე ცენტრალური დაქვემდებარების სამსახურების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს მუნიციპალიტეტის ინტერესთა სფეროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით..

მუნიციპალიტეტის საკრებულო გამგეობასთან და სხვა სამსახურებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, ტურისტული პოტენციალის გამოვლენისა და ათვისების, სოფლის მხარდაჭერის,

სოციალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების შემუშავება განხორციელების საქმიანობაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვებლობის კოდექსი“ შესაბამისად გამგებლის წარდგინებით საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა გამგეობის ყველა სამსახურის დებულება.

2016 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მისი თავმჯდომარის მიერ გაწეული მუშაობა, სოციალურ განვითარებასა და ეკონომიკურ წინსვლაში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებები, საკრებულოს, მისი კომისიების, გამგეობის და მისი ყველა სამსახურის, თითოეული თქვენგანის, ყველა ზუგდიდელის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ერთიანი შრომის შედეგია.

საანგარიშო პერიოდში დეპუტატთა დასწრება სხდომებზე, მათი აქტიურობა საკითხების განხილვისას, დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. მინდა აღვნიშნო საკრებულოს აპარატის, როგორც საერთო, ასევე თითოეული თანამშრომლის პუნქტუალური, კომპეტენტური და ორგანიზებული მუშაობა.

ბატონებო! მინდა ყურადღება გავამახვილო ერთი, ვფიქრობ საკრებულოს მუშაობისთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, იმის გათალისწინებით, რომ მთელ რიგ საკითხებზე გვაქვს განსხვავებული, ზოგჯერ რადიკალურად საპირისპირო შეხედულებები და მიდგომები და საკრებულოში არის მსჯელობა, კამათი, აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ არასოდეს ადგილი არ ჰქონია ღირსების შემლახავ, ურთიერთშეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, მიმართვებსა, თუ განცხადებებს. ყველა საკითხის განხილვა ხდება კონსტრუქციულ ვითარებაში და მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, გულწრფელი მადლობა მინდა გითხრათ თითოეულ ფრაქციას, თითოეულ დეპუტატს ამგვარი მიდგომისათვის და აღითქვათ, რომ ჩვენი შემდგომი მუშაობაც ანალოგიურ ვითარებაში გაგრძელდება.

ბოლოს მადლობა მინდა გითხრათ ყურადღებისათვის და იმედი გამოვთქვა, რომ თითოეული დეპუტატი, კომისიები ფრაქციები და საკრებულოს აპარატი მომავალში უფრო გულისხმიერად მოვეკიდებით ჩვენდამი გამოჩენილ დიდ ნდობას, გავითვალისწინებთ ჩვენს მუშაობაში არსებულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, ყველაფერს გავაკეთებთ რათა დადებითად გადავწყვიტოთ არსებული საკითხები და პრობლემები, რაც საშუალებას მოგვცემს საბოლოო ჯამში საგრძნობლად გავაუმჯობესოთ მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული ვითარება, ნაწილობრივ მაინც დავძლიოთ დასაქმების პრობლემა, ავამაღლოთ მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობა, მიღწეული ეკონომიკური მაჩვენებლები და განვითარების ტემპები თითოეულ ჩვენთაგანს განგვაწყობს ოპტიმიზმით და უკეთესი მომავლის რწმენით. მინდა გისურვოთ უკეთესი მომავალი და წარმატებული საქმიანობა ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

მადლობთ ყურადღებისათვის!



